

მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოები(დუალური მიდგომით)



მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში - Third level vocational qualification in wall covering works

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე ღია ან/და დახურულ სივრცესა და სიმაღლეზე. ის შეიძლება იყოს თვითდასაქმებული ან დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სამშენებლო-სარემონტო და დიზაინერულ კომპანიებში, სახელმწიფო ან კერძო საწარმო-დაწესებულებაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებული იქნება შენობა-ნაგებობის მშენებლობასა ან მის რეკონსტრუქცია-გადლიერებასთან. მას სამუშაოების შესრულება მოუწევს სხვადასხვა კლიმატის პირობებში. დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს: სამღებრო სამუშაოების შემსრულებელი; სამუშაო რგოლის უფროსი; ბრიგადის უფროსი.

მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
- დასახოს და განახორციელოს პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნები;
- წაიკითხოს/გაარჩიოს სამშენებლო ნახაზები ტექნოლოგიური პროცესების შესასრულებლად;
- შეასრულოს სადემონტაჟო სამუშაოები კონსტრუქციული სქემის შესაბამისად;
- უზრუნველყოს სამშენებლო მასალების შენარჩუნება მეორეული გამოყენებისათვის
- მოამზადოს სამუშაო მოედანი;
- შეაფასოს სხვადასხვა ზედაპირები, დამუშავება და შეღებვა უსაფრთხოების ნორმების, სამუშაო პროცესების ტექნოლოგიური თანმიმდევრობისა და ვადების დაცვით;
- შეასრულოს ექსტერიერსა და ინტერიერში თბოსაიზოლაციო და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები;
- მოაწყოს/შექმნას ჭერის, კედლის კუთხეებზე, ჭადის, კარისა და ფანჯრების გარშემო დეკორაციები;
- ინტერიერში გააკრას შპალერი.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- მოცულობა: 59 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 2 წელი.

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

1. შპს „ანაგი“
2. შპს „ოცნების სახლი“